



ენერგოდაიჯესტი

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

ანალიტიკური დეპარტამენტი

31.03.2014

№ 12

სარჩევი

საქართველო.....	3
„მტკვარი ჰესი“ და ცხენისწყალზე ჰესების კასკადი „თანაინვესტირების ფონდის“ დაფინანსებით აშენდება.....	3
საქსტატი ენერგორესურსების მოხმარების გამოკვლევას იწყებს	4
რეგიონი	4
სულ მცირე 10-მდე კომპანიას სურს ისრაელი-თურქეთის გაზსადენის მეშვეობით ბუნებრივი აირის ექსპორტი	4
ირანმა შესაძლოა ერევანს გაზის მიწოდების ახალი პირობები შესთავაზოს.....	6
Turcas-ი Star-ის გადამამუშავებელი ქარხნის წილის გაყიდვას აპირებს	7
რუსეთის ფედერაცია და პოსტსაბჭოთა ქვეყნები	8
რუსეთის აზრით, სანქციებმა შესაძლოა ბირთვული ენერჯის კონტრაქტებზე იმოქმედონ.....	8
Gazprom-ს გლობალური LNG ბაზრის 15% სურს.....	9
რუსეთის ყირიმის ანექსიისათვის დასჯის მიზნით სოროსი აშშ-ს მოუწოდებს, გახსნას ნავთობის მარაგები	10
ევროპული ბანკები 308 მილიონი ევროს ოდენობის კრედიტს გამოუყოფენ უკრაინას გაზის ტრანსპორტირების ქსელის მოდერნიზაციისათვის.....	11
ევროპა	11
ფიქალის გაზი დიდ ბრიტანეთში	11
ევროკავშირი რუსეთის გაზზე დამოკიდებულების შესამცირებლად ახალ ენერგეტიკულ სამოქმედო გეგმას ადგენს	12
Siemens-ი დიდ ბრიტანეთში ქარის ტურბინების მწარმოებელ ქარხანას აშენებს	13
მსოფლიო.....	15
ამერიკელები მხარს უჭერენ ქარის ენერჯიას	15
თხევადი ბუნებრივი აირის აზიელ მყიდველებს ახალი წყაროები სჭირდებათ.....	16
ნიგერიამ Bony-ის თბა ტერმინალიდან 24 მლრდ აშშ დოლარის მოგება მიიღო.....	17
ანალიტიკა	17
აშშ-ს აქვს ენერგეტიკული უპირატესობა, მაგრამ გამოიყენებს ის მას?	17

„მტკვარი ჰესი“ და ცხენისწყალზე ჰესების კასკადი „თანაინვესტირების ფონდის“ დაფინანსებით აშენდება

„საქართველოს თანაინვესტირების ფონდის“ აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი ბაჩიაშვილმა ტურიზმის, უძრავი ქონების, ენერჯეტიკისა და სოფლის მეურნეობის სფეროებში დამტკიცებული საინვესტიციო პროექტები წარადგინა.



მიხედვით, გათვალისწინებულია „მტკვარი ჰესისა“ და ჰესების კასკადის მშენებლობა მდინარე ცხენისწყალზე.

პროექტი „მტკვარი ჰესი“ სამხრეთ საქართველოში, ახალციხის რაიონში, მდინარე მტკვარზე განხორციელდება. ჰესის დადგმული სიმძლავრე 53.3 მგვტ-ი იქნება. ელექტროენერჯის წლიური გამომუშავება კი - 255.2 გვტ.სთ.

როგორც ფონდში აცხადებენ, პროექტის განხორციელებით ენერჯეტიკის სფეროში 100 მლნ ამერიკული დოლარის ინვესტიცია ჩაიდება.

„ამ ეტაპზე დასრულებულია პროექტის სრული ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის პროცესი და მიმდინარეობს შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმება,“ - განმარტავენ ფონდში.

რაც შეეხება პროექტს „ჰესების კასკადი მდინარე ცხენისწყალზე“, ის ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში, ლენტეხისა და ცაგერის რაიონში, მდინარე ცხენისწყალზე განხორციელდება. ჰესების ჯამური დადგმული სიმძლავრე 347 მგვტ-ი იქნება, წლიური გამომუშავება 1 755 გვტ.სთ-ს გაუტოლდება.

ფონდის ინფორმაციით, პროექტის განხორციელებით ენერჯეტიკის სფეროში 679 მლნ ამერიკული დოლარის ინვესტიცია ჩაიდება.

„დღეისთვის ჩატარებულია პროექტის წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლა საქართველოს ენერჯეტიკის განითარების ფონდის მიერ,“ - განმარტავენ „თანაინვესტირების ფონდში.“¹

¹ http://energyplatform.ge/show_news.php?id_news=125

საქსტატი ენერგორესურსების მოხმარების გამოკვლევას იწყებს

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ენერგორესურსების მოხმარების გამოკვლევას იწყებს. თორმეტწლიანი პაუზის შემდეგ საქსტატი ენერგორესურსების მოხმარების გამოკვლევის სავსელე სამუშაოებს აპრილიდან განაახლებს.

გამოკვლევა ეტაპობრივად მოიცავს ქვეყნის ყველა ინსტიტუციონალურ სექტორს: არაფინანსურ კორპორაციებს, ფინანსურ კორპორაციებს, არაკომერციულ ორგანიზაციებს, სახელმწიფო მმართველობას, შინამეურნეობებს.

გამოკვლევის შედეგად მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით შესაძლებელი იქნება, მიმდინარე წლის ბოლოსათვის სრულყოფილი ენერგეტიკული ბალანსის შემუშავება.

აღნიშნული სამუშაოების ტექნიკური მხარდაჭერა ევროკავშირის პროგრამა „ინოვეტთან“ თანამშრომლობის ფარგლებში ხორციელდება. ამ მიზნით, გასული კვირის განმავლობაში საქართველოში იმყოფებოდა „ინოვეტის“ მისია. აღნიშნულ პროცესებში ჩართულია საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო.²

რეგიონი

სულ მცირე 10-მდე კომპანიას სურს ისრაელი-თურქეთის გაზსადენის მეშვეობით ბუნებრივი აირის ექსპორტი

როგორც ისრაელის მედია იტყობინება, სულ მცირე 10-მა ფირმამ, მათ შორის თურქულმა ენერჯო კომპანიებმა, გააკეთა განაცხადი გაზსადენის მეშვეობით ისრაელის ლევიათანის გაზის საბადოდან ბუნებრივი აირის თურქეთში ექსპორტირებისთვის.

ისრაელის Globes-ის მედია წყაროს ცნობით, ტენდერში



მონაწილეებს შორისაა თურქული Zorlu Group-ი, რომელიც ისრაელის ერთ-ერთ ელექტროსადგურში უკვე ფლობს არაპირდაპირ წილს. ტენდერში ერთობლივად იღებს

² <http://geostat.ge/?action=news&lang=geo&npid=719>

მონაწილეობას ასევე Turcas Petro და გერმანული ელექტროენერჯის მიმწოდებელი კომპანია RWE.

Globes-მა, ანონიმურ წყაროებზე დაყრდნობით, განაცხადა, რომ ბუნებრივი აირის ტრანსპორტირებაზე შეთავაზებები მერყეობდა წელიწადში 7 და 10 მლრდ. კუბურ მეტრს შორის: „15-წლიან პერიოდში 22-31 მლრდ. აშშ დოლარის შემოსავლის უზრუნველსაყოფად ბუნებრივი აირის თითოეული მილიონი ბრიტანული თერმული ერთეულის (28.26 კუბ.მ) ფასი უნდა იყოს 6 აშშ დოლარი, რაც წარმოადგენს ისრაელის შიდა საბაზრო ფასს“.

ლევიათანის საბადო, სავარაუდოდ, შეიცავს 540 მლრდ. კუბურ მეტრ გაზს, რაც საკმარისია ევროპისთვის მთელი წლის განმავლობაში მისაწოდებლად. საბადო მუშავდება აშშ-ში დაფუძნებული კომპანია Noble Energy-ის მიერ, რომელიც პროექტის მთავარი პარტნიორია 30%-იანი წილით, ხოლო დანარჩენ მონაწილეებს წარმოადგენს ისრაელის Delek Group-ი, Avner Oil Exploration-ი, Ratio Oil Exploration-ი და Australian Woodside-ი, რომელიც შეურთდა პროექტს მიმდინარე წლის თებერვალში 25%-იანი წილით.

სექტემბერში Turcas-ის სამეთვალყურეო საბჭოს წევრმა მეთიუ ბრაიზამ განაცხადა, რომ კომპანიამ გააკეთა 2.5 მლრდ აშშ დოლარის შეთავაზება ზღვაში გაზსადენის აშენებისთვის ისრაელიდან თურქეთის სამხრეთ პროვინცია მერსინში.

Globes-ის განცხადებით, შეთანხმება მოიცავს გაზსადენის გაყვანას თურქეთსა და ლევიათანის ე.წ. „მწარმოებელ, შემნახველ და გადამტვირთავ“ (FPSO) გემს შორის, რომელიც მიაწოდებს ბუნებრივ აირს ისრაელსა და რეგიონულ მომხმარებლებს.

მედია სააგენტოს ცნობით, სატენდერო ფასი წარმოადგენს FPSO-დან შესასყიდ ფასს. ფასის გარდა, სატენდერო შეთავაზებები შეფასდება კომერციული მახასიათებლების მიხედვითაც, მათ შორის „აილე ან გადაიხადე“ პირობითაც და შესყიდული ბუნებრივი აირის გამტარიანობით.

ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები დაიძაბა 2010 წლის მაისში ებრაელი კომანდოსების მიერ ღაზაში ისრაელის საზღვაო ბლოკადის გარღვევის დროს ცხრა თურქი აქტივისტის მკვლელობის შემდეგ. თუმცა, ისრაელმა ამ ინციდენტისთვის ბოდიში მოიხადა დაახლოებით ერთი წლის წინ, რასაც ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების განახლება მოჰყვა და ახალი ენერგეტიკული ალიანსების შექმნის იმედები გააჩინა.³

³ <http://www.hurriyetdailynews.com/at-least-10-firms-bid-for-israel-turkey-gas-pipeline-report.aspx?pageID=238&nID=64066&NewsCatID=348>

ირანმა შესაძლოა ერევანს გაზის მიწოდების ახალი პირობები შესთავაზოს

როგორც სომხეთში ირანის ელჩმა მუჰამედ რეისიმ NEWS.am-ის კორესპონდენტს აცნობა, ირანული მხარე ყველაფერს აკეთებს პრეზიდენტ ჰასან რუჰანის სომხეთში ვიზიტის ორგანიზებისათვის.

ელჩმა აღნიშნა, რომ პრეზიდენტ რუჰანის პრიორიტეტს მეზობელ ქვეყნებთან



ურთიერთობები წარმოადგენს და ამ ქვეყნებში ვიზიტს გეგმავს, კერძოდ - სომხეთში, რომელიც ირანის განსაკუთრებული პრიორიტეტია.

„ვიმედოვნებ, ვიზიტი მიმდინარე წელს შედგება“, - თქვა მან.

რაც შეეხება ენერგეტიკის სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის პერსპექტივებს,

ელჩმა აღნიშნა, რომ სომხეთ-ირანის მთავრობათშორისი ენერგეტიკული კომიტეტის მორიგი სხდომა აღნიშნული საკითხების განსახილველად შედგება. კითხვაზე - შეუძლია თუ არა ირანს შესთავაზოს სომხეთს ბუნებრივი აირის მიწოდების ახალი პირობები, დიპლომატმა უპასუხა: „ეს შესაძლებელია. ყველაფერი დამოკიდებულია მოლაპარაკებებზე. საკითხი შეიძლება დაისვას სომხეთ-ირანის მთავრობათშორისი ენერგეტიკული კომიტეტის შეხვედრის დროს, რომელიც მიმდინარე წლის მაისში შედგება თეირანში“.

კითხვაზე პასუხისას, შეიძლება თუ არა, ვოროტანის ჰიდროკასკადის აშშ-სათვის მიყიდვამ გავლენა იქონიოს ირან-სომხეთის თანამშრომლობაზე, მოჰამედ რეისიმ აღნიშნა, რომ ირანის პარტნიორი არის სომხეთის მთავრობა და ირანულ მხარეს კავშირი არ აქვს იმასთან, თუ ვინ შეისყიდა ვოროტანის კასკადი.

29 იანვარს სომხეთის ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა არმენ მოვსესიანმა და Contour Global-ის აღმასრულებელმა ვიცე-პრეზიდენტმა და აღმასრულებელმა დირექტორმა აღმოსავლეთ ევროპისა და დსთ-ს ქვეყნებში ჰარი ლევსლეიმ ხელი მოაწერეს სამი ჰიდროელექტროსადგურისაგან შემდგარი ვოროტანის ჰიდროკასკადის ამერიკული კომპანიისათვის გადაცემის შესახებ შეთანხმებას.

შეთანხმების პირობების თანახმად, Contour Global-ის უშუალო და სრულ მფლობელობაში მყოფი შვილობილი კომპანია Contour Global Hydro Cascade ელექტრო ენერჯის სომხეთის ქსელს ენერჯის შესყიდვის გრძელვადიანი შეთანხმების საფუძველზე მიაწვდის. გარდა ამისა, მომდევნო ექვსი წლის განმავლობაში განახორციელებს 70 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ინვესტიციას რეკონსტრუქციის

პროგრამაში სადგურის მოდერნიზებისა და საექსპლუატაციო პარამეტრების, უსაფრთხოების, საიმედოობისა და ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით.⁴

Turcas-ი Star-ის გადამამუშავებელი ქარხნის წილის გაყიდვას აპირებს

თურქული Turcas Group-ი, რომელიც Star-ის გადამამუშავებელი ქარხნის თანამფლობელია, თავისი წილის მიყიდვას ქარხნის მთავარი აქციონერის SOCAR-ისთვის აპირებს.

თებერვლის თვეში კომპანია გადამამუშავებელი ქარხნის წილის 13.5%-ის გაყიდვას აპირებდა, თუმცა 25 მარტს გავრცელებული განცხადების შედეგად ირკვევა, რომ Turcas-ი მთლიანად ყიდის პროექტში წილს, რომლის მიზანსაც აეგონის პროვინციაში, იზმირში გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობა წარმოადგენს.



თურქული ნავთობქიმიური კომპანია Petkim-ის მფლობელი კომპანია SOCAR-ი Turcas Petrol-თან ერთად გადამამუშავებელ ქარხანა Star-ს აშენებს, რათა თურქეთის დამოკიდებულება იმპორტირებულ გადამამუშავებულ ნავთობპროდუქტებზე შეამციროს.

ქარხანამ მუშაობა 2018 წლისთვის უნდა დაიწყოს და SOCAR-ი მის 41.5%-ს ფლობს, Turcas-ი - 18.5%-ს, ხოლო აზერბაიჯანის ეკონომიკისა და განვითარების სამინისტრო - დანარჩენ 40%-ს.

თუ კომპანიები შეთანხმდებიან, SOCAR-ის წილი პროექტში 58.5 %-მდე გაიზრდება.

აღსანიშნავია, რომ „მსოფლიო ბანკის საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია“ და „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი“ აღარ აპირებენ გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობის დაფინანსებას, თუმცა გასულ კვირას SOCAR Turkey-ში განაცხადეს, რომ ისინი Denizbank-ს შეუთანხმდნენ და პროექტის დასაფინანსებლად 500 მლნ აშშ დოლარს მიიღებენ.⁵

⁴ <http://news.am/eng/news/199166.html>

⁵ <http://www.hurriyetdailynews.com/turcas-in-talks-to-leave-star-refinery-.aspx?pageID=238&nID=64090&NewsCatID=348>

რუსეთის აზრით, სანქციებმა შესაძლოა ბირთვული ენერჯის კონტრაქტებზე იმოქმედონ

როგორც რუსული სახელმწიფო კომპანია Rosatom-ის დირექტორმა განაცხადა, შესაძლოა დასავლეთის სანქციებმა სხვა ქვეყნებთან რუსეთის ბირთვული ინდუსტრიის კონტრაქტებზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს. კომპანია ბირთვულ ელექტროსადგურებს სხვადასხვა ქვეყანაში აშენებს, მათ შორისაა თურქეთის პირველი სადგური მერსინ აკუიუში, რომლის მშენებლობის დაწყებაც მომდევნო წელსაა დაგეგმილი.

მოსკოვის მიერ ყირიმის ანექსიის შედეგად რუსეთის ოფიციალურ პირებსა და მათ აქტივებზე დაწესებული შეზღუდვების შემდეგ, აშშ და ევროკავშირი დამატებითი სანქციებისა და შეზღუდვების დაწესებას აპირებს შიდა ეკონომიკებზე იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი კვლავ განაგრძობს აგრესიულ მოქმედებებს. „თუ გავითვალისწინებთ კომენტარების ნაკადს, რომელიც შესაძლოა შეზღუდვებისა და ეკონომიკური თანამშრომლობის კუთხი კეთდება დასავლეთი მხრიდან, შესაძლოა ჩვენი საერთაშორისო კონტრაქტები პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოექცეს“ – განაცხადა Rosatom-ის დირექტორმა სერგეი კირიენკომ. თუმცა, მისივე ცნობით ზემოთ აღნიშნულ შეზღუდვებს ამ ეტაპზე არც ერთ კონტრაქტზე გავლენა არ ჰქონია და ყველა გარიგება, მათ შორის უკრაინის სადგურებისთვის ბირთვული საწვავის მიწოდება, დაგეგმილი გრაფიკის მიხედვით მიმდინარეობს.

ამ კვირაში ბრიტანეთში გაკეთდა განცხადება, რომ Rosatom-თან ნოემბერში დადებული ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც რუსეთს მათ ტერიტორიაზე ახალი ატომური სადგურის მშენებლობა შეეძლო, სავარაუდოდ ხელახლა გადაიხედება.⁶



ROSATOM
O V E R S E A S

⁶ <http://www.hurriyetdailynews.com/russia-says-its-nuclear-contracts-could-be-affected-by-sanctions.aspx?pageID=238&nID=64184&NewsCatID=348>

Gazprom-ს გლობალური LNG ბაზრის 15% სურს

მომდევნო 15 წლის განმავლობაში Gazprom-ს გლობალური LNG ბაზრის 15%-ის მოპოვება სურს. კომპანიის დირექტორთა საბჭო შეთანხმდა, რომ მათი საქმიანობის ძირითადი მიმართულება გათხევადებული ბუნებრივი აირის ბაზარი იქნება და მასზე ფოკუსირების შედეგად რუსული გიგანტი თავისი სავაჭრო პორტფოლიოს ოპტიმიზაციას მოახდენს. „LNG-ის გამოშვების ზრდა კომპანიას საშუალებას მისცემს 2030 წლისათვის ბაზრის 15%-ის მფლობელი გახდეს,“ - აცხადებს კომპანია.



Gazprom-მა LNG-ის რეალიზაცია ტანკერების მეშვეობით 2005 წელს დაიწყო და მას შემდეგ 148 ტანკერი 12 სხვადასხვა ქვეყანას მიაწოდა. მართალია კომპანიის საქმიანობის უდიდესი წილი სახმელეთო მილსადენებზე მოდის, თუმცა Gazprom-ი LNG-ის განვითარების დიდ შესაძლებლობებს პროგნოზირებს. რუსული კომპანიის გათვლებით, გლობალური გათხევადებული ბუნებრივი აირის ბაზარი ყოველწლიურად 3%-ით გაიზრდება. Gazprom-ი აკონტროლებს რუსეთის ერთადერთ LNG-ის პროექტს - „სახალინი 2“-ის ქარხანას ქვეყნის აღმოსავლეთ სანაპიროზე. კომპანია ჯერ-ჯერობით 2 LNG „მატარებელს“ (ბუნებრივი აირის გამათხევადებელი და გამწმენდი მოწყობილობა) ფლობს და წარმოების გაზრდის მიზნით კიდევ ერთის დამატებას გეგმავს. Gazprom-ი მიზნად ისახავს LNG-ის ექსპორტს არა მარტო ვლადივასტოკის ტერმინალიდან, არამედ ბალტიის ზღვიდანაც.

რუსეთი კარგ პოზიციაში იმყოფება, იმისათვის რათა მოემსახუროს დიდ და სწრაფად მზარდ აზიურ ბაზარს. ამ დრომდე იაპონია LNG-ის ყველაზე დიდი იმპორტიორია და მას კიდევ უფრო მეტი ენერჯის იმპორტი ჭირდება, რათა ჩაანაცვლოს

გაჩერებული ატომური სადგურები. Gazprom-ის ექსპორტზე ორიენტირებული საწარმოები კი იაპონიასთან ძალიან ახლოს მდებარეობენ.

აშშ კვლავ აგრძელებს LNG-ის დიდი ოდენობით ექსპორტს და უკრაინის კრიზისი დაეხმარა, რომ კიდევ უფრო დიდი მოცულობის პროდუქცია მიაწოდოს მოკავშირე ქვეყნებს. და მაინც, აშშ-ს მოუწევს კონკურენციის გაწევა იმ რეგიონულ ბაზრებზე, სადაც სხვა LNG ქარხნები მალე ექსპლუატაციაში შევა.⁷

რუსეთის ყირიმის ანექსიისათვის დასჯის მიზნით სოროსი აშშ-ს მოუწოდებს, გახსნას ნავთობის მარაგები

როგორც Bloomberg-ი 27 მარტს იუწყებოდა, ამერიკის შეერთებული შტატების სარეზერვო ნავთობის მოცულობა ორჯერ აღემატება საერთაშორისო პაქტით



გათვალისწინებულ აუცილებელ ოდენობას. ჯორჯ სოროსმა, რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის დასჯის მიზნით, წამოაყენა რეზერვის ნაწილის გაყიდვის წინადადება და მას ამერიკელი კანონმდებლები ყურად იღებენ.

„რაკი აშშ და მისი ევროპელი მოკავშირეები ცდილობენ დასაჯონ რუსეთი უკრაინის რეგიონის - ყირიმის ანექსიისთვის, ამერიკას, საკუთარი სტრატეგიული მარაგებიდან დღეში 500 ათასი ბარელის გაყიდვით, შეუძლია ბარელზე 12 აშშ დოლარამდე დასწიოს ნავთობზე მსოფლიო ფასები,“ - აღნიშნა ფილიპ ვერლეგერმა, კონსულტანტმა, რომელიც ფორდისა და კარტერის ადმინისტრაციებში მუშაობდა. „დაბალი ფასები რუსეთს ნავთობისა და გაზის გაყიდვებიდან მიუღებელი შემოსავლების სახით დაახლოებით 40 მილიარდი აშშ დოლარი დაუჯდება, რაც მისი ეკონომიკის 2%-ის ეკვივალენტურია,“ - თქვა მან.

მიუხედავად იმისა, რომ ენერგეტიკის მინისტრმა უარყო ეს იდეა, სოროსის განცხადებიდან ერთი კვირაც არ იყო გასული, რომ ეს საკითხი კონგრესმა განსახილველად წამოაყენა. როგორც მილიარდელმა ინვესტორმა 20 მარტს აღნიშნა, ყველაზე ძლიერი სანქციები პუტინის წინააღმდეგ ყირიმზე კონტროლის აღებისათვის „შეერთებული შტატების ხელშია“, რადგან ამერიკას შეუძლია ნავთობის რეზერვების დაბალ ფასად გაყიდვა.⁸

⁷ <http://oilprice.com/Latest-Energy-News/World-News/Gazprom-Wants-15-of-Global-LNG-Market.html>

⁸ <http://www.oilandgaseurasia.com/en/news/soros-urges-us-open-oil-reserve-punish-russia-crimea-annexation>


ევროპული ბანკები 308 მილიონი ევროს ოდენობის კრედიტს გამოუყოფენ უკრაინას გაზის ტრანსპორტირების ქსელის მოდერნიზაციისათვის

როგორც RBK-Ukraine იუწყება, უკრაინის პრემიერ-მინისტრმა არსენი იაცენიუკმა პარლამენტს განუცხადა, რომ „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი“ (EBRD) და „ევროპის საინვესტიციო ბანკი“ უკრაინას 308 მილიონ ევროს ასესხებენ გაზის ტრანსპორტირების ქსელის მოდერნიზაციის მიზნით. მან აღნიშნა, რომ EBRD-მა უკვე გამოყო 70 მილიონი ევრო ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის რეფორმირებისათვის. „გარდა ამისა, EBRD-ი მზადაა დააფინანსოს ელექტროენერჯის გადაცემის პროექტები სამხრეთ უკრაინასა და ლუცკ-ტერნოპოლის ელექტრო გადამცემ ხაზებზე,“ - თქვა იაცენიუკმა.⁹

ევროპა

ფიქალის გაზი დიდ ბრიტანეთში

დიდ ბრიტანეთში ფიქალის გაზის ძიება დღითი-დღე უფრო პოპულარული



ხდება. დადებითი და უარყოფითი მოსაზრებები ჰორიზონტალური ჰიდრავლიკური ბურღვითი მეთოდით მოპოვებული არატრადიციული გაზის შესახებ სულ უფრო პოლარიზდება და მყარდება.

დიდი ბრიტანეთის მთავრობამ მკაფიოდ დააფიქსირა თავისი მხარდაჭერა ადგილობრივი ფიქალის გაზის მრეწველობის განვითარების შესახებ. ის ასევე ცდილობს დააჩქაროს სხვადასხვა სამართლებრივი და ფინანსური ღონისძიებები, რათა ხელი შეუწყოს მრეწველობას. ბრიტანეთს გააჩნია ხისტი პოზიცია ევროპელი კანონმდებლების მცდელობების წინააღმდეგ, რომელთაც სექტორში

ახალი ზოგად-ევროპული რეგულაციების გატარება სურთ.

ბრიტანეთის მთავრობა დარწმუნებულია, რომ ფიქალის ადგილობრივ რესურსს ქვეყანაში ათი ათასობით სამუშაო ადგილის შექმნის, ენერგომატარებლებზე ტარიფების

⁹<http://www.oilandgaseurasia.com/en/news/european-banks-lend-308mn-euros-upgrade-ukraine%E2%80%99s-gas-transit-network>

შემცირებისა და მიწოდების უსაფრთხოების ამაღლების პოტენციალი გააჩნია. თუმცა, მთავრობის მოსაზრება გარკვეულწილად ქაოსური და მოკლევადიანია, ვინაიდან ფიქალის გაზის მოსალოდნელი რაოდენობით მოპოვების შემთხვევაშიც კი ბრიტანეთში ფასები ენერგომატარებლებზე საგრძნობლად ვერ შემცირდება, ისე როგორც ეს მოხდა აშშ-ში, რადგან ევროპული გაზისა და ელექტროენერჯის ბაზრები ურთიერთდაკავშირებულია.

გარდა ამისა, მოწინააღმდეგენი შიშობენ, რომ ფიქალის გაზის ფართომასშტაბიანი წარმოება ბრიტანეთის წიაღისეულ საწვავზე დამოკიდებულებას გაზრდის, გამოიწვევს დეკარბონიზაციის შეჩერებასა და განახლებადი ენერჯების წყაროების განვითარების შეფერხებას, რაც შესაბამისად, გარემოზე მავნე ზეგავლენას იქონიებს.

მიუხედავად დაპირისპირებისა, ბრიტანეთის მთავრობის მიმდინარე პოზიციიდან გამომდინარე ქვეყანაში ფიქალის მოპოვებაზე ინვესტიციების ტენდენცია მზარდია. ცოტა ხნის წინ გამოცხადდა, რომ ჩრდილოეთ ინგლისში Total-ი იმ ორ საბადოში აპირებს ინვესტირებას, რომელსაც ოპერირებას Island Gas (iGas) უწევს, ანუ ინდუსტრიის გიგანტები ბრიტანეთის ფიქალის გაზის საბადოებით ინტერესდებიან.

ამჟამად ენერჯეტიკისა და კლიმატის ცვლილებების დეპარტამენტის 2014 წლის სახმელეთო ნავთობისა და გაზის ლიცენზიების გაცემის მე-14 რაუნდი მიმდინარეობს. განიხილება მრავალი სახმელეთო ტერიტორია.

საბადოების რუკაზე ლურჯად მონიშნული ტერიტორია აღნიშნავს ტერიტორიას, რომელსაც გააჩნია ნავთობისა და გაზის მოპოვების რაიმე სახის პოტენციალი და განიხილება მე-14 რაუნდში, ხოლო ყვითელი კი აღნიშნავს უკვე გაცემულ ლიცენზიას.¹⁰

ევროკავშირი რუსეთის გაზზე დამოკიდებულების შესამცირებლად ახალ ენერჯეტიკულ სამოქმედო გეგმას ადგენს

უკრაინაში მიმდინარე ყირიმის კრიზისის გამო, რუსეთის ბუნებრივი აირის იმპორტზე ევროკავშირის დამოკიდებულების შემცირების მიზნით, ბრიუსელი ახალ გეგმაზე მუშაობს. ევროკავშირის წევრი ქვეყნების ლიდერებმა ევროკომისიას მომდევნო სამი თვის მანძილზე ახალი ენერჯეტიკული სამარშრუტო რუკის გეგმა მოსთხოვეს, რათა უფრო ადვილი გახდეს ენერჯო რესურსების დივერსიფიკაცია და რუსეთისგან ენერჯოდამოუკიდებლობის მოპოვება, რომელიც ევროკავშირს მთლიანი მოხმარების 30%-ს აწვდის და ამ მოცულობის უდიდესი ნაწილი სწორედ უკრაინის გავლით

¹⁰ <http://www.hellenicshippingnews.com/News.aspx?ElementId=b1a13dfc-ff84-4dcc-851e-b9d8339cba52>

მიეწოდება ევროპას. მათი ეს დამოკიდებულება გამოიწვია რუსეთ-უკრაინის დამაბულმა პოლიტიკურმა სიტუაციამ.

„რუსეთზე ევროპის ბუნებრივი გაზის დამოკიდებულების დონის შესამცირებლად განსახორციელებელი ქმედებები უფრო ინტენსიურ ფაზაში უნდა შევიდეს, განსაკუთრებით იმ ქვეყნებისთვის რომლებიც ყველაზე მეტად არიან რუსეთზე დამოკიდებული,“ - განაცხადეს 22 მარტს ბრიუსელის სამიტზე .

ევროპული ახალი გეგმის ძირითად მიმართულებებს აშშ-დან გაზის იმპორტის დაწყება და ნორვეგიიდან და ჩრდილოეთ აფრიკიდან იმპორტის ზრდა წარმოადგენს. აღნიშნულ გეგმაში ასევე განსაზღვრულია ენერგო ეფექტურობის ზრდა და განახლებადი ენერჯის წყაროების განვითარება. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ მარტის თვის დასაწყისში ევროკავშირმა გადადო Gazprom-თან მოლაპარაკებები, რომელიც 50 მლრდ. დოლარის ღირებულების სამხრეთ ნაკადის მილსადენის პროექტს ეხებოდა ასევე უარი განაცხადა OPAL-ის ხაზზე, რომელიც გერმანიაში არსებულ Nord Stream-ის სისტემას ჩეხეთთან აკავშირებს.

ამასობაში ევროკავშირმა უკრაინასთან ასოცირების ხელშეკრულების ძირითად საკითხებს მოაწერა ხელი, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნების პოლიტიკურ და ეკონომიკურ დაახლოებას.¹¹

Siemens-ი დიდ ბრიტანეთში ქარის ტურბინების მწარმოებელ ქარხანას აშენებს

Siemens-ი დიდი ბრიტანეთის ოფშორულ ტერიტორიაზე ქარის ელექტრო სადგურებისათვის საჭირო დანადგარების მწარმოებელი ქარხნის მშენებლობაში 263 მლნ. აშშ დოლარზე მეტი ინვესტიციის ჩადებას გეგმავს. აღნიშნული საწარმო 6 მგვტ-იანი ქარის ტურბინებისათვის როტორებს აწარმოებს.

„ინგლისში ოფშორული ქარის ტურბინებისთვის ახალი საწარმოო ქარხნის მშენებლობის გადაწყვეტილება ჩვენი გლობალური სტრატეგიის ნაწილია: ჩვენ ინვესტირებას ვაკეთებთ ისეთ საიმედო ბაზრებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ ისეთ პირობებს, რომლითაც საწარმოები სრული სიმძლავრით შეძლებენ მუშაობას. ბრიტანეთის ენერგო პოლიტიკა ოფშორული ქარის ენერჯის განვითარების ხელსაყრელ ჩარჩო პირობებს ქმნის. კერძოდ, მთლიანი ენერჯის წარმოების პორტფოლიოში ოფშორული ქარის ენერჯის პოტენციალს მნიშვნელოვანი მხარდაჭერა აქვს

¹¹NewsBase Energo, FSU Oil&Gas Monitor, Issue 775, 26 March 2014, EU drafting energy roadmap to reduce dependence on Russian gas

სახელმწიფოს მხრიდან,“ - განაცხადა კომპანია Siemens-ის მმართველი საბჭოს წევრმა მაიკლ სუესმა.

დიდ ბრიტანეთში ოფშორულ ქარის ბაზარი მაღალი ზრდის ტემპით ხასიათდება და მომავალში კიდევ უფრო დიდი ზრდაა მოსალოდნელი. ქვეყანაში ბოლო 2 წლის მანძილზე აღნიშნული ენერჯის სიმძლავრე გაორმაგდა და თითქმის 10 გვტ-ს შეადგენს. 2020 წლისათვის ქვეყნის ენერჯო მიწოდების უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი მიზნებიდან გამომდინარე ეს მაჩვენებელი 14 გვტ-მდე უნდა გაიზარდოს. ამჟამად გრძელვადიან პერიოდში ჯამურად 40 გვტ. სიმძლავრის ოფშორული ქარის სადგურების პროექტები განიხილება. ბრიტანეთის პრემიერის დევიდ კამერონის განცხადებით, ქვეყნის მთავრობის კონსტრუქციული პოლიტიკური ხედვა ქარის ენერჯის ინდუსტრიაში ახალი სამუშაო ადგილების შექმნის შესაძლებლობას იძლევა.



Siemens-ი და მისი ბრიტანელი პარტნიორი Associated British Ports (ABP) ჯამურად პროექტებში 513 მლნ. აშშ. დოლარის ინვესტიციას განახორციელებენ. აღნიშნული ინვესტიცია მნიშვნელოვნად გააძლიერებს დიდი ბრიტანეთის ოფშორული ქარის ენერჯო ბაზარს, რაც ქვეყნის შრომის ბაზრისთვის დამატებითი სტიმულირება იქნება: 1 000 სამუშაო ადგილი უშუალოდ ამ პროექტით შეიქმნება, მათ შორის 550 როტორების ქარხანაში, ხოლო 450 - Green Port Hull-ში. სხვა სამუშაო ადგილები შეიქმნება მშენებლობისა და ენერჯის მიწოდების ინდუსტრიაში.¹²

¹² <http://energy.einnews.com/article/197087408/Z5fv0w0gFUSfywAc?n=2&code=GC3nUIjkIECsLFtE>

ამერიკელები მხარს უჭერენ ქარის ენერჯიას

ქარის ენერჯია სულ უფრო დიდი პოპულარობით სარგებლობს ამერიკელ მოსახლეობაში. კვლევების მიხედვით, რაც უფრო ბევრი ქარის სადგურია რომელიმე



შტატში, მით უფრო მეტი მხარდამჭერი ყავს ქარის ენერჯიას მოცემულ რეგიონში.

განახლებადი ენერჯიების მოწინააღმდეგე Heartland Institute-ის მიერ გამოქვეყნებული კვლევის მიხედვით, ქარის ენერჯიის და სხვა განახლებადი წყაროების პოპულარობა კლებულობს. ბევრი ექსპერტი მოცემულ

დასკვნას საეჭვოდ მიიჩნევს, რასაც აგრეთვე ქვევით მოყვანილი ფაქტებიც ეწინააღმდეგება:

- იანვარში Navigant Research-ის მიხედვით, ამერიკელების 72% მხარს უჭერდა ქარის ენერჯიას და ეს მაჩვენებელი იზრდებოდა.
- დეკემბერში USA Today-ის გამოკითხვის მიხედვით, გამოკითხულთა 73% ემხრობა ქარის ენერჯიის და სხვა განახლებადების საგადასახადო წახალისებას.
- ტეხასის უნივერსიტეტის გამოკითხვამ აჩვენა, რომ ამერიკელთა 89%-ს სურს, რომ მთავრობამ ფოკუსირება მოახდინოს განახლებადების განვითარებაზე.
- კანზასის შტატი ელ-ენერჯიის 20%-ს ქარისგან იღებს და მოსახლეობის 91% ემხრობა ქარის ენერჯიას.

ეს არ არის გასაკვირი, რადგან სუფთა ენერჯია მნიშვნელოვან ეკონომიკურ სარგებელსაც იძლევა. ქარის ენერჯია აჩქარებს ეკონომიკურ ზრდას 50-ივე შტატში, უზრუნველყოფს 25 მილიარდის ინვესტიციებს ეკონომიკაში, ქმნის დამატებით 80 000 ახალ მაღალანაზღაურებად სამუშაო ადგილს. ისეთ შტატებში, სადაც ფართოდ იყენებენ ქარის ენერჯიას, შეუმცირდათ ელ.ენერჯიის ფასები, განსხვავებით სხვა შტატებისგან, სადაც - პირიქით გაიზარდა ელ.ენერჯიის ფასები.

დღესდღეობით ქარის ტურბინის ღირებულების 72% აშშ-ში იქმნება, განსხვავებით 2005 წლის 25%-სგან. ასევე ქარის ენერჯიის ხარჯი ბოლო 4 წლის განმავლობაში 43%-ით შემცირდა. ქარის ენერჯია არის აშშ-ს წარმატება, რომლითაც დემოკრატებიც და

რესპუბლიკელებიც ამაცობენ, მოსახლეობა კი ქარის ენერჯისთვის და სხვა განახლებადებისთვისაც მოითხოვს დაფინანსებისა და ინვესტიციების გაზრდას.¹³

თხევადი ბუნებრივი აირის აზიელ მყიდველებს ახალი წყაროები სჭირდებათ

„თუ ევროპელები რუსეთ-უკრაინის კრიზისის გამო უარს იტყვიან რუსულ გაზზე და აშშ-ის თბა-ზე გადაერთვებიან, აზიელ მყიდველებს ახალი მიმწოდებლები დასჭირდებათ ავსტრალიიდან და აღმოსავლეთ აფრიკიდან,“ - განაცხადა ტაივანის სახელმწიფო ენერჯეტიკული კომპანიის დირექტორმა.



ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენების შემდეგ ევროპას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი შეამციროს რუსული გაზის შესყიდვები და მოძებნოს ახალი ალტერნატიული წყაროები, მაგალითად ამერიკული თბა. ტაივანური ენერჯო კომპანიის დირექტორის განცხადებით, ევროპელებს მოუწევთ აზიელებთან კონკურენცია, რადგან აზიაში თბა-ს ფასი გაცილებით დიდია. თბა-ს ერთი მილიონი ბრიტანული თერმული ერთეული (28.32 კუბ.მ) ევროპაში 10 აშშ დოლარი ღირს, ხოლო აზიაში - 18 აშშ დოლარი. თუ ევროპელები შეძლებენ და თბა-ის შესყიდვაში კონკურენციას გაუწევენ აზიელებს და გადაიხდიან მაღალ ფასს, მაშინ აზიას აშშ-ს გარდა დამატებით მიწოდების ახალი წყაროები დასჭირდება ავსტრალიიდან და მოზამბიკიდან.

ავსტრალიაში, რომელიც მოსალოდნელია რომ 2020 წლისთვის მსოფლიოში თბა-ის უდიდესი მწარმოებელი გახდეს, 190 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების თბა-ის საექსპორტო პროექტების მშენებლობა განვითარება-მიმდინარეობს. კომპანია „ანადარკო“, რომელიც თბა პროექტებს მოზამბიკში ახორციელებს, უკვე გაფორმებული კონტრაქტების საფუძველზე წარმოებული თბა-ის 2/3-ს აზიაში გაყიდის.

მოზამბიკის მასიური პროექტები პირველ გადაზიდვებს 2018 წელს დაიწყებს. თავდაპირველად ქარხანა წლიურად 50 მილიონი ტონა თბა-ის წარმოებას შეძლებს. აშშ-ს თბა-ის ექსპორტი მომავალი წლის ბოლოს დაიწყება, ხოლო სრული დატვირთვით კი აშშ-ს თბა-ის საექსპორტო ინდუსტრია 2017 წლისთვის ამოქმედდება.¹⁴

¹³ <http://www.evwind.es/2014/03/27/wind-power-widely-supported-by-americans/44423>

¹⁴ <http://www.hellenicshippingnews.com/News.aspx?ElementId=671a4d5d-54b0-425c-a779-83171ed10139>

ნიგერია Bony-ის თბა ტერმინალიდან 24 მლრდ აშშ დოლარის მოგება მიიღო



ნიგერიის თხევადი ბუნებრივი აირის (თბა) კომპანიაში აცხადებენ, რომ ქვეყანამ 24 მლრდ აშშ დოლარის მოგება მიიღო კუნძულ Bony-ზე არსებული თბა ტერმინალით, რომელიც უკვე 15 წელია არსებობს.

მესამიათასე თბა-ის გადაზიდვის აღსანიშნავად კომპანიამ წვეულება გამართა, სადაც აღმასრულებელმა დირექტორმა განცხადა, რომ ქვეყნის გადაწყვეტილებამ განვეითარებინა თბა-ის ინდუსტრია, გაამართლა და პროექტმა დახარჯული სახსრები ამოიღო. ქვეყანამ 13 მილიარდი აშშ დოლარი დივიდენდის სახით მიიღო, დანარჩენი 11 მილიარდი კი - გაზის გაყიდვებით.

კომპანიამ ოპერირება 14 წლის წინ დაიწყო და პირველი გადაზიდვა 1999 წლის ოქტომბერში განახორციელა. ამ პერიოდის განმავლობაში ჯამურმა შემოსავალმა 80 მლრდ. აშშ დოლარს გადააჭარბა და კომპანიას წლიურად მთლიან შიდა პროდუქტში დაახლოებით 4%-იანი კონტრიბუცია ქონდა.

ნიგერიის მთავრობა მომავალშიც გეგმავს გადაზიდვების გაზრდას და ახალი პროექტების განხორციელებას. ნიგერიას თბა-ის დისტრიბუციაში მსოფლიოში მე-5 ადგილი უჭურავს.¹⁵

ანალიტიკა

აშშ-ს აქვს ენერგეტიკული უპირატესობა, მაგრამ გამოიყენებს ის მას?

აშშ-ში ფართო დისკუსიები იმართება იმის შესახებ, შეუძლია თუ არა აშშ-ს შეებრძოლოს ვლადიმერ პუტინს „საკუთარ მოედანზე“ - ენერგეტიკულ სექტორში. დიახ, შეუძლია და უნდა შეებრძოლოს, რადგან ეს შედის მსოფლიო ეკონომიკისა და აშშ-ს ინტერესებში. ამისათვის კი პირველ რიგში უნდა შეჩერდეს აშშ-ში მოქმედი ენერგეტიკული რესურსების ექსპორტის შეზღუდვა, რაც დააჩქარებს ბუნებრივი აირის საექსპორტო ტერმინალების მშენებლობას.

¹⁵ <http://www.hellenicshippingnews.com/News.aspx?ElementId=e638d0e6-7e98-4737-80d2-4c585419fd77>

წლების განმავლობაში პუტინი საკუთარი ქვეყნის სიმდიდრეს იყენებდა როგორც იარაღს, თავის აგრესიულ პოლიტიკაში საკუთარი მეზობლების წინააღმდეგ. ამჟამად ევროკავშირის მიერ რუსული გაზის დიდი მოცულობებით იმპორტი აფერხებს მის მლიერ მხარდაჭერას უკრაინის მიმართ

და რუსეთის აგრესიული პოლიტიკის საწინააღმდეგო ქმედებებს, მაშინ, როცა აშშ-ში არსებობს ფიქალის გაზის უდიდესი მარაგი, რომელმაც აშშ გახადა არა მარტო ენერგეტიკულად



თვითუზრუნველყოფილი, არამედ საგრძნობლად შეამცირა ბუნებრივი აირის ფასი, რომელიც გაცილებით ნაკლებია იმაზე რასაც ევროპელები იხდიან რუსულ გაზში. თუ აშშ-ს მთავრობა მოხსნის შეზღუდვებს და გათხევადებული აირი გავა ექსპორტზე, ჩაანაცვლებს ის რუსულ გაზს ევროპაში?

საკითხი უფრო რთულია, ვიდრე ზედაპირულად ჩანს. რუსულ გაზს, რომელსაც არ ჭირდება გათხევადება და პირდაპირ მილსადენით მიეწოდება ევროპას, აშშ-ს თხევად ბუნებრივ აირთან (თბა) შედარებით ფასისმიერი უპირატესობა ექნება. ამერიკელი კერძო მყიდველები და გამყიდველები დიდი ალბათობით ექსპორტის უდიდეს ნაწილს მიმართავენ აზიის ბაზრისკენ, კერძოდ იაპონიისა და კორეისკენ, სადაც უფრო დიდი მოგების საშუალება ექნებათ. ეს გაზრდის აშშ-ს ეკონომიკას, შეამცირებს აშშ-ის სავაჭრო ბალანსის დეფიციტს, მაგრამ მთლიანად ვერ ჩაანაცვლებს რუსულ გაზს ევროპაში.

აშშ-ს თბა-ის ექსპორტი მაინც დააზარალებს რუსეთს. პირველ რიგში ის რუსეთს დაუკეტავს მომგებიან აზიის ბაზარს, სადაც ის უკვე გეგმავს დამკვიდრებას. აშშ-ს ჩართულობა გლობალურ თბა-ის ბაზარზე გაზრდის მოქნილობას და ევროპელ იმპორტიორებს უფრო ფართო არჩევანი ექნებათ საკუთარი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. მათ შეეძლებათ უფრო მეტი იმპორტი განახორციელონ აშშ-დან, ყატარიდან და სხვა ქვეყნებიდან. ევროპელები უკვე იწყებენ რუსეთთან გაზის მიწოდების კონტრაქტების გადახედვას და ზოგიერთი ექსპერტი ვარაუდობს, რომ პუტინი შესაძლოა ჩიხში აღმოჩნდეს, რადგან ის მხოლოდ ევროპულ ბაზარზე დარჩება და ადრე თუ გვიან გაზრდილი კონკურენციის გამო მოუწევს ფასების მკვეთრად შემცირება.

აშშ-ს ექსპორტის ზრდა იქნება სიგნალი მსოფლიოს უდიდესი კომპანიებისთვის, რომ აშშ მზადაა ჯანსაღი და კომერციაზე დაფუძნებული ურთიერთობისთვის, საწინააღმდეგოდ ევრაზიული კავშირისა, სადაც ლიდერი საკუთარ ენერგეტიკულ უპირატესობას ბოროტად იყენებს. პუტინი თავისი პოლიტიკით იზოლაციაში ექცევა და

მას მომავალში სულ უფრო გაუჭირდება რუსეთისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გრძელვადიანი ენერგო კონტრაქტების გაფორმება.

თბა-ის ექსპორტს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, როგორც აშშ-ს ისე მსოფლიო ბაზრისთვის, რადგან ის ამერიკის ეკონომიკას უფრო მეტად გააჯანსაღებს და მსოფლიო ბაზარს გახდის უფრო მოქნილს და სტაბილურს. მეტი გამყიდველი მსოფლიო ბაზარზე ნიშნავს ნაკლებ ძალაუფლებასა და გავლენის სფეროებს ისეთი რეჟიმისთვის, როგორიცაა პუტინის რუსეთი.¹⁶

¹⁶ <http://energy.einnews.com/article/196700198/C0uOfO-tgTEI6Mfj?n=2&code=GC3nUIJkIECsLFtE>